09/01/2026

MES 3 26 0000001261

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 19.12.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ.
სხდომის დასრულების დრო: 15:43 სთ.
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;

4. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ბონდო გასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
13. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
14. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
15. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი**;**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

1. **ანა ჯავახიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
2. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

1. კახაბერ ლაზარაშვილი - რექტორი
2. დავით ბოსტოღანაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ელენე ზურაბიშვილი - ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი
1. დიანა მჭედლიშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
2. შოთა ნიჟარაძე, კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი;
3. მაქსიმ იავიჩი, პროგრამის ხელმძღვანელი;
4. გიორგი იაშვილი, პროგრამის თანახელმძღვანელი;
5. ვლადიმერ სვანაძე, პროგრამის თანახელმძღვანელი.

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

1. თამარი რაზმაძე - ხარისხის კულტურის კომიტეტის უფროსი მენეჯერი.
2. ნათია თამარაშვილი - მედიცინის სკოლის წარმომადგენელი ხარისხის კულტურის კომიტეტში.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ა) აზიმ მუჰამედ მირზაზადე Azim Mohammad Mirzazadeh (II საკითხი);
ბ) დავით თოფურია (II საკითხი);
გ) ნატო დურგლიშვილი (II საკითხი);
დ) ილია ბოცვაძე (II საკითხი);
ე) ანა მიხელიძე (II საკითხი);
ვ) ჰასან ჩაკირი (Hasan Çakır) (II საკითხი);
ზ) გიორგი კუჭავა (II საკითხი);
თ) თამთა კობახიძე (II საკითხი);
ი) შალვა მხეიძე (II საკითხი);
კ) ირინე ფხაკაძე (III საკითხი);
ლ) ია ფანცულაია III საკითხი);

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა - ლევან შავაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ქართულენოვანი საბაკალავრო, „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ქართულენოვანი სამაგისტრო, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და „კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის "სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
• არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ქართულენოვანი საბაკალავრო, „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ქართულენოვანი სამაგისტრო, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და „კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის "სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. **შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბ აკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ქეთევან აფთარაშვილი, ციური დურული
აცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, აზიმ მირზაზადემ მიმოიხილა განხორციელებული ვიზიტის გარემოებები და აღნიშნა, რომ შემოთავაზებული პროგრამის თითოეული კომპონენტი შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“. ამავდროულად, პროგრამას განესაზღვრა რჩევები. ერთი რჩევა ეხებოდა სილაბუსებში ლიტერატურის განახლებას და მეორე, ინოვაციური სწავლების მეთოდების აღწერას (მაგალითად, PBL და სემინარები). ასევე, პროგრამას ვურჩიეთ სწავლის შედეგების მიღწევისა და სტუდენტთა მოსწრების შეფასებებს შორის გადაფარვების შემცირება. ამას გარდა, პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები და მხარდაჭერა გაეწიოთ სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით. საქართველოში საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამას ვურჩიეთ, რომ განახორციელოს ინტერდისციპლინური სწავლება ფარმაციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებებით. სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო გააძლიეროს აკადემიური პერსონალი მენტორობითა და სხვა სტრუქტურული ტრენინგების დახმარებით. არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა სასურველია ჩამოყალიბდეს ხარისხის კულტურა. უნივერსიტეტის მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა გაცემული 2 რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით ბოსტოღანაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული და პროფესიონალური მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული მაღალი შეფასება ნიშნავს იმას, რომ ექსპერტთა ჯგუფმა სრულფასოვნად აღიქვა პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში ჩადებული ძალისხმევა. დასკვნაში მოცემული რჩევები და მოსაზრებები არის განმავითარებელი ხასიათის, რასაც უნივერსიტეტი მიესალმება და ზოგიერთი მათგანი უკვე არის პრიორიტეტული, მაგალითად, პერსონალის მოზიდვა და განვითარება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ლევან შავაძემ კითხვით მიმართა აზიმ მირზაზადეს. მას აინტერესებდა, რის საფუძველზე გაჩნდა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით პერსონალის ტრენინგის შესახებ რჩევა. აზიმ მირზაზადემ უპასუხა, რომ ზოგადად ამ პროცესის გამართულობისთვის საჭიროა პერსონალის ინფორმირება და ჩართულობა. ექსპერტმა, ილია ბოცვაძემ დაამატა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს ძირითადად ქმნის ხარისხის სამსახური და პროგრამისთვის შეიქმნა საკმაოდ კარგი მექანიზმი. მის შემუშავებაში ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელი და მისი პერსონალი, თუმცა კარგი იქნება ჩატარდეს ტრენინგები და პერსონალმა უფრო სიღრმისეულად გაიგოს ამ მექანიზმის ფუნქცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:25

დასრულების დრო: 14:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (2027 წლის 31 დეკემბერი).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ქართულენოვანი საბაკალავრო, „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ქართულენოვანი სამაგისტრო, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და „კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
მაქსიმ იავიჩი
აცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჰასან ჩაქირიმ დამსწრეებს გააცნო დასკვნაში მოყვანილი რეკომენდაციები და ხაზი გაუსვა, რომ გაცემული რჩევების გათვალისწინება პროგრამებს დაეხმარება განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დიანა მჭედლიშვილმა "რეკომენდებულია, საზოგადოებივი, ეთიკისა და პროფესიონალიზმის საკითხები პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო საგნების სახით იყოს გათვალისწინებული" რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს გულისხმობს პროგრამის სტრუქტურის ცვლილებას, რასაც უნივერსიტეტი არ ეთანხმება, რადგან ეს საკითხები დაფარულია სხვადასხვა სასწავლო კურსებში. ეს თემატიკა შეიძლება უფრო გამდიდრდეს აღნიშნულ კურსებში. „რეკომენდებულია, უსდ-მ დანერგოს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის დროული და ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებას მათი შეფასებების შესახებ." რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პირველადი „მისკომუნიკაციის" შემდეგ უნივერსიტეტი მიხვდა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა შუალედური და საბოლოო გამოცდების შედეგებზე გაცემულ უკუკავშირს, რაც არ არის გათვალისწინებული არსებული ფორმატით, რადგან ფინალური გამოცდის შემდეგ ლექტორს აღარ აქვს სტუდენტებთან საკონტაქტო საათები. სტუდენტს შეუძლია გაეცნოს თავის ნაწერს, ნახოს კომენტარები თუ რაში დააკლდა ქულა, ასევე, შეუძლია შედეგის აპელაცია რამდენიმე ინსტანციაში. ლევან შავაძის დამაზუსტებელ კითხვაზე უპასუხა, რომ სტუდენტები ელექტრონულად ეცნობიან ქულებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ლევან შავაძემ ჰკითხა ექსპერტებს, ზუსტად რა იგულისხმება დროულ და ინდივიდუალურ უკუკავშირში. ექსპერტმა, შალვა მხეიძემ უპასუხა, რომ სტანდარტი მოითხოვს სტუდენტმა მიიღოს უკუკავშირი სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით, რასაც უბრალოდ მიღებული ქულის ნახვა ვერ სრულყოფს. ლექტორებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შუალედური და ფინალური გამოცდების შემდეგ ლექტორები სასემინარო ფორმატში არჩევენ საგამოცდო საკითხებს, თუმცა ესეც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ უკუკავშირს და ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას. მან აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკითხია ნახულობს თუ არა სტუდენტი მიღებულ ქულასთან ერთად ლექტორის კომენტარებს დაკლებულ ქულებთან დაკავშირებით, რაც ახალი ინფორმაციაა ექსპერტთა ჯგუფისთვის და კიდევ ერთხელ სთხოვა დიანა მჭედლიშვილს დადასტურება. დიანა მჭედლიშვილმა უპასუხა, რომ ქულის ნახვა არის შესაძლებელი ელექტრონულად და არა ნაწერის. ნაწერები შენახულია მონიტორინგის დეპარტამენტში და სტუდენტს შეუძლია ნახოს თავისი ნაწერი განცხადების დაწერის გარეშე. ლექტორების უმეტესობა წერს კომენტარებს და თუ სტუდენტი ვერ გაერკვა თავის ნაწერში, მას შეუძლია სთხოვოს ლექტორს კომენტარების გაცემა. უნივერსიტეტმა აქამდე ვერ მიაწოდა ეს ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფს, რადგან რეკომენდაციის ზუსტი არსი მხოლოდ საბოლოო დასკვნის მიღების შემდეგ გახდა ნათელი. შალვა მხეიძის აზრით, ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ შეიძლება აღნიშნული რეკომენდაციის რჩევაში გადატანა. ციური დურულმა დასვა კითხვა გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, იფარება თუ არა ეთიკისა და პასუხისგებლობის საკითხი საბაკალავრო ნაშრომისა და სხვა სასწავლო კურსების ფარგლებში და აუცილებელია თუ არა ამ საკითხების ცალკე სასწავლო კურსში მოქცევა სწავლის შედეგების მისაღწევად. ექსპერტმა, ლია კურტანიძემ უპასუხა, რომ ახალი "ICT" სტანდრატის მიხედვით, ეთიკა და პასუხისმგებლობა უნდა გადიოდეს მესამე დონეზე, რისი მიღწევაც საჭიროებს ერთი სავალდებულო კურსის დამატებას. დარგობრივ მახასიათებლებში „საზოგადოება, ეთიკა და

პასუხისმგებლობა“ არის გამოყოფილი ცალკე ცოდნის არედ და გადის მესამე დონეზე. დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ცოდნის განმტკიცების დონეზე მიღწევა ხდება საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში, ხოლო სხვა კურსებში სხვა დონეებზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 15:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 19 დეკემბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 19 დეკემბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ქართულენოვანი სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 19 დეკემბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 19 დეკემბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანამანთლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 19 დეკემბრამდე.

3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის “ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ”სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მათი პოზიცია.

ირინე ფხაკაძემ აღნიშნა, რომ დისტანციური შეფასების ფარგლებში შეფასდა პროგრამის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები. განისაზღვრა ორი რჩევა, რომელიც ემსახურება ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებას, რაც დაფიქსირდა მიღების წინაპირობების თარგმნის პროცესში. პროგრამა სრულად აკმაყოფილებს პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
თამარ რაზმაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:25
დასრულების დრო: 15:40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის "სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის "სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 19 დეკემბერს 15:43 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს

მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე